სააქციო საზოგადოება „ლიბერთი კონსუმერ”-ის
ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის გადაწყვეტილება

ორი ათას თვრამეტი წლის 23 ოქტომბერს სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის (ს/კ: 205154438) (შემდგომში – „საზოგადოება“) აქციონერის - სს „საქართველოს კაპიტალი“-ს (ს/კ: 404549690) (შემდგომში – „აქციონერი“) მიერ, რომელიც წარმოდგენილია მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ავთანდილ ნამიჩეიშვილის სახით (რწმუნებულება, გაცემული 2018 წლის 3 მაისს სს „საქართველოს კაპიტალი“-ს გენერალური დირექტორის ი. გილაურის მიერ, დამოწმებული ნოტარიუს ი. შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის #180497245), მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქვემოთ მითითებულ საკითხებზე.

ვინაიდან „აქციონერი“ ფლობს სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის ჩვეულებრივი აქციების და შესაბამისად, ხმების 75%-ზე მეტს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.1[1] მუხლისა და სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის წესდების 7.1.2 პუნქტის თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

დღის წესრიგი:

1. „საზოგადოების“ მიერ კაპიტალის შემცირების შესახებ;
2. ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ.

დღის წესრიგში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით „აქციონერის“ მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. შემცირდეს „საზოგადოების“ კაპიტალი 15,520,600.6 (თხუთმეტი მილიონ ხუთას ოცი ათას ექვსასი ლარი და ექვსი თეთრი) ლარის ოდენობით, „საზოგადოების“ მიერ თავისი 98.24%-იანი აქციონერის - სს „საქართველოს კაპიტალი“-სგან (ს/კ #404549690) „საზოგადოების“ აქციების ნაწილობრივ გამოსყიდვის გზით. კერძოდ, „საზოგადოების“ მიერ სს „საქართველოს კაპიტალი“-სგან (ს/კ #404549690) გამოსყიდულ იქნეს „საზოგადოების“ 155,206,006 (ას ორმოცდათხუთმეტი მილიონ ორას ექვსი ათას ექვსი) ჩვეულებრივი აქცია მთლიანი ღირებულებით 23,861,320 (ოცდასამი მილიონ რვაას სამოცდაერთი ათას სამას ოცი) ლარი.

   გაუქმდეს „აქციონერისგან“ გამოსყიდული „საზოგადოების“ აქციები. „საზოგადოების“ განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვროს 2,890,000 (ორი მილიონ რვაას ოთხმოდაათი) ლარით, რომელიც დაყოფილია 289,000,000 (ორას ოთხმოცდაცხრა მილიონი) ჩვეულებრივ აქციად.

   გამოსყიდული აქციების სანაცვლოდ, „საზოგადოების“ მიერ სს „საქართველოს კაპიტალს“ გადაეცეს „საზოგადოების“ საკუთრებაში არსებული სს „თელიანი ველი“-ს (ს/კ: 203855444) 135,555,072 (ას ოცდათხუთმეტი მილიონ ხუთას ორმოცდათხუთმეტი ათას სამოცდათორმეტი) ჩვეულებრივი აქცია, ღირებულებით 23,618,761 (ოცდასამი მილიონ ექვსას თვრამეტი ათას შვიდას სამოცდაერთი) ლარი და 90,000 (ოთხმოდაათი ათასი) აშშ დოლარი.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება „საზოგადოების“ გენერალურ დირექტორს რათა მან ერთპიროვნულად უზრუნველყოს ზემოაღნიშნული გარიგების კანონით დადგენილი წესით გაფორმება/რეგისტრაცია, ასევე ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ყველა საჭირო დოკუმენტს/ხელშეკრულებას და შეასრულოს ამასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება.

/_____/

ავთანდილ ნამიჩეიშვილი

სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის 98.24%-იანი აქციონერის

სს „საქართველოს კაპიტალი“-ს

გენერალური დირექტორის მოადგილე

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=....., c=GE
Date: 2018.10.25 10:02:50 +03'00'